

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

-- ნომბერი 2022 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულება 2022 წლის 15 ნოემბრიდან.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:**

წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება 2022 წლის 15 ნოემბრიდან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე, განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულო, ხოლო შემდეგ საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების ცვლილებისას, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია (შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია) და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო.

საკრებულოს წევრთა კომისიებში გადაადგილების გამო შეიცვალა საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ წარდგენილი იქნა ბიუროზე დასამტკიცებლად „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, საკრებულოს ბიურომ მიმდინარე წლის 15 ნოემბერს დაამტკიცა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

სამართლებრივი და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულება 2022 წლის 15 ნოემბრიდან.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
იურიდიული განყოფილების უფროსი

ირაკლი თავართქილაძე